ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2025 წლის 30 მაისი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №44 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge 11/12/2017. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.124.016264) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.დადგენილებით დამტკიცებული დანართის 34-ე მუხლის (მოქალაქეთა ინფორმირება და მონაწილეობა მერიის საქმიანობაში) მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მერიაში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე სქესის მიხედვით“.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ გიორგიძე**